



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი № 12

2020 წელი 21 აგვისტო

ქ. ბაღდათი

10:30 საათი

2020 წლის 21 აგვისტოს შედგა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: შალვა მშვილდაძე ირინა ტყეშელაშვილი, ფრიდონ მაჩიტაძე, მამუკა გორგოძე, გვანცა გრძელიძე, მაია კბილაშვილი, გაბრიელ ღიბრაძე, გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, სოსო ჭოლოკავა.

არ ესწრებოდა: გიორგი რობაქიძე, ნოდარი გიორგიძე,

მუნიციპალიტეტის მერიიდან სხდომას ესწრებოდა:

თინა აბულაძე- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკური განყოფილების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა: შალვა მშვილდაძე, საკრებულოს თავმჯდომარე, რომელმაც აღნიშნა, რომ „საკრებულოში შემოსულია მუნიციპალიტეტის მერიის წინადადება რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ“, როგორც შ. მშვილდაძემ განმარტა, საკითხი ეხებოდა იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ვანის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად საპროექტო განაცხადზე „ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით არტეზიული ჭების მოსაწყობად საბურღი მძიმე ტექნიკის შეძენა“-ს. სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ვანის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად საპროექტო განაცხადზე „ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უსაფრთხოების

უზრუნველყოფისა და მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით არტეზიული ჭების მოსაწყობად საბურღი მძიმე ტექნიკის შეძენა“ - თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი : თინა აბულაძე- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკური განყოფილების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი

დღის წესრიგი დამტკიცდა

მომხრე - 10 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10 ბიუროს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ვანის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად საპროექტო განაცხადზე „ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით არტეზიული ჭების მოსაწყობად საბურღი მძიმე ტექნიკის შეძენა“ - თანხმობის მიცემის შესახებ.

საგრანტო წინადადების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა ბიუროს წევრებს: **თინა აბულაძე- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკური განყოფილების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა,**

კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ

ბიურომ გადაწყვიტა:

აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2020 წლის 21 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-10 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 ბიუროს წევრი

სხდომის დასასრულს ბიუროს წევრებმა განიხილეს 27 აგვისტოს საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველი საკითხები. აღინიშნა, იმის გათვალისწინებით, რო 28 აგვისტო არის არასამუშაო დღე, მორიგი სხდომა გამართულიყო 27 აგვისტოს, სადაც გეგმიურ საკითხებთან ერთად მოისმენდნენ მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშს 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

ბიუროს სხდომამ გადაწყვიტა:

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელიც გაიმართება 2020 წლის 21 აგვისტოს 11:00

საათზე, დღის წესრიგში შეტანილი იქნეს შემდეგი საკითხი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ვანის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად საპროექტო განაცხადზე „ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით არტეზიული ჭების მოსაწყობად საბურღი მძიმე ტექნიკის შეძენა“ - თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი : თინა აბულაძე- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკური განყოფილების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

შალვა მშვილდაძე